24/02/2025

MIA 7 25 00541203

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის
მოადგილეს **ბატონ გიორგი ბუთხუზს**

პ ა ტ ა კ ი

შსს ეკონომიკურ დეპარტამენტში წარმოდგენილია, შსს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის 2025 წლის 20 თებერვლის N504103 სამსახურებრივი ბარათი, რომლის მიხედვით, 2025 წლის თებერვლის თვეში, საექპერტო-კრიმინალისტიკურმა დეპარტამენტმა მიიღო კომპანია „Cellebrite"-ს გაყიდვების დირექტორის, ალბერტ კაცირის წერილი, წერილში მკაფიოდაა ნათქვამი, რომ გარკვეული მიზეზების გამო, მიმდინარე წლის ნებისმიერ მომენტში, საქართველოს შეიძლება შეეზღუდოს მოცემული პროგრამული უზრუნველყოფის შესყიდვა. შესაბამისად, მოგვცეს რეკომენდაცია, რომ პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიის შეძენა მოვახდინოთ მაქსიმალურად შემჭიდროვებულ ვადაში. განსაკუთრებით ყურადსაღები და გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ დღეისთვის საქართველო ერთადერთი ქვეყანაა კავკასიის რეგიონში, სადაც მწარმოებელი ახდენს თავისი პროდუქციის რეალიზაციას.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით მოგახსენებთ, რომ შპს „ქომუნალ ტექნოლოჯისა" და შს სამინისტროს შორის 2024 წლის 21 მაისს გაფორმდა N566 ხელშეკრულება, საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის მოთხოვნის უზრუნველსაყოფად, არსებული "Cellebrite" პროგრამული უზუნველყოფის ლიცენზიის ვადის გაგრძელებისა და წვდომის წერტილის დამატების (ინსტალაციით) შესყიდვის შესახებ, აღნიშნული ხელშეკრულების შესაბამისად, პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიის ვადა განსაზღვრულია 2025 წლის 27 მაისის ჩათვლით.

კომპანია „Cellebrite"-დან წერილის მიღების შემდეგ შსს საექსპერტო კრიმინალისტიკური დეპარტამენტი დაუკავშირდა, შპს „ქომუნალ ტექნოლოჯის", რომელიც კომპანია „Cellebrite"-ს წარმომადგენელია საქართველოში და მანაც დაგვიდასტურა, რომ ნამდვილად არსებობს პროგრამის გათიშვის საფრთხე. შსს საექსპერტო კრიმინალისტიკური დეპარტამენტის განმარტებით კომპიუტერული და ციფრული ტექნოლოგიების ექსპერტიზის სპეციფიკიდან, მნიშვნელობიდან და სენსიტიურობიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, აღნიშნული პრობლემა დროულად და ეფექტიანად აღმოიფხვრას.

შსს საექსპერტო კრიმინალისტიკური დეპარტამენტის მიერ მოთხოვნილია კომპანია „Cellebrite"-ის წარმოების აპარატურულ-პროგრამული უზრუნველყოფების პაკეტების შესყიდვა: Cellebrite Inseyets და Cellebrite Digital Collector-ის არსებული ლიცენზიის გაგრძელება 3 წლის ვადით, რომლებიც აუცილებელია შს სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური

დეპარტამენტისთვის მათზე დაკისრებული უფლება-მოვალეობების შეუფერხებლად აღსრულების მიზნით.

შსს საექსპერტო კრიმინალისტიკური დეპარტამენტის განამრტებით საექსპერტო-კვლევითი საქმიანობის სფეციფიკიდან გამომდინარე, მათი კომპიუტერული და ციფრული ტექნოლოგიების ექსპერტიზის ლაბორატორია ემსახურება, საგამოძიებო ორგანოების მიერ სისხლის სამართლის საქმეთა ფარგლებში დანიშნულ ექსპერიზებს. კომპიუტერული და ზოგადად ციფრული ტექნოლოგიების განვითარებისა და მისი მოხმარების ინტენსივობის პროგრესიულ ზრდასთან ერთად, პროპორციულად იმატებს აღნიშნულ სფეროში ექსპერტიზების ოდენობაც. აღნიშნული გამოწვევის საპასუხოდ, საჭიროა ახალი, გაუმჯობესებული აპარატურულ-პროგრამული უზრუნველყოფების Cellebrite Inseyets-ის და Cellebrite Digital Collector არსებული ლიცენზიის გაგრძელების შეძენა, არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შენარჩუნებით, რათა კომპიუტერული და ციფრული ტექნოლოგიების ექსპერტიზის ლაბორატორიის შესაძლებლობების გაუმჯობესებისა და განახლების პროცესთან ერთად, გაფართოვდეს აღნიშნული მიმართულების საექრსპერტო კვლევის სპექტრი და შესაძლებელი გახდეს დასკვნების უფრო სწრაფად და დიდი ოდენობით მომზადება. დაკვეთების რაოდენობების გათვალისწინებით საჭიროა:

- Cellebrite Inseyets – 6 ლიცენზია (4 არსებული Premium ადაპტერის გამოყენებით და 2 ახალი ადაპტერის შეძენა);
- Cellebrite Digital Collector – 1 ლიცენზია (არსებულის განახლება);

ზემოაღნიშნული ლიცენზიების მოქმედების ვადა უნდა იყოს შესყიდვიდან 3 წელი. მათი შეძენით საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის ლაბორატორია დამატებით შეძლებს ინფორმაციის უფრო სწრაფად მიღებას და დამუშავებს, მათ შორის შესაძლებელი იქნება ინფორმაციის სერვერზე პარალელურად დამუშავება (პარალელურად შესაძლებელია ექვსი პროცესის გაშვება ლიცენზიების რაოდენობის შესაბამისად), შესაძლებელი იქნება ინფორმაციების კატეგორიებად დაყოფა, კონკრეტული პერიოდის მითითება და ა.შ.

ასევე აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ კომპანია „Cellebrite"-მა წარადგინა ახალი გაუმჯობესებული პროდუქტი: Cellebrite Inseyets, რომელიც აერთიანებს Cellebrite UFED Premium, Cellebrite UFED 4PC, Cellebrite Physical Analyzer, Cellebrite Cloud და Cellebrite Commander სისტემებს და წარმოადგენს ციფრული ლაბორატორიის ავტომატიზაციის გადაწყვეტილებას, რაც იძლევა კომბინირებულად ინფორმაციის მიღების, დეკოდირებისა და ანალიზის საშუალებას, სამუშაო პროცესის ოპტიმიზაციის შესაძლებლობას, ინფორმაციის უფრო სწარად დათვალიერების საშუალებას, ცენტრალურად მართვის საშუალებას, რეპორტების ავტომატურ რეჟიმში გენერირების საშუალებას გაშვებული პროცესების სტატუსების შესახებ ინფორმაციის მიღების, პროცესის შეჩერების, პაუზის და მიმდინარეობის განახლების შესაძლებლობას და ა.შ.

ასევე, განახლებული კომპიუტერული მოწყობილობების მეხსიერებების საექსპერტო ასლებისთვის განკუთვნილი პროგრამული უზრუნველყოფა: Cellebrite Digital Collector-ის და Cellebrite Inseyets-ის გამოყენებით შესაძლებელია მოწყობილობების სარეზერვო ასლების სრულფასოვანი და საფუძვლიანი დეკოდირება და ანალიზი.

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ მწარმოებელი კომპანია Cellebrite-ის ავტორიზაციის წერილის (MAF) თანახმად, მის პარტნიორ რეზიდენტ კომპანიას საქართველოში წარმოადგენს შპს „ქომუნალ ტექნოლოჯი", რომელიც უფლებამოსილია განახორციელოს საჭირო პროდუქტის რეალიზაცია.

ზემოაღნიშნულის შესაბამისად, შექმნილი მდგომარეობის გათვალისწინებით, შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის პირველი ოქტომბრის N756 ბრძანების შესაბამისად, გთხოვთ თქვენს თანხმობას, **შსს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის მოთხოვნის უზრუნველსაყოფად, "Cellebrite Inseyets"–ის პროგრამული უზრუნველყოფის 6** ახალი ლიცენზი ისა (4 არსებული Premium ადაპტერის გამოყენებით და 2 ახალი ადაპტერის შეძენა) და არსებული "Cellebrite Digital Collector"-ის – 1 ლიცენზიის განახლების შესყიდვა (3 წლიანი ვადით), **არაუმეტეს - 6 796 092 (ექვსი მილიონ შვიდას ოთხმოცდათექვსმეტი ათას ოთხმოცდათორმეტი) ლარის** ოდენობით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის "დ" ქვეპუნქტის საფუძველზე, განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

პატივისცემით,

დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე
ხარებავა აკაკი

ფინანსთა სამინისტრო
ფინანსთა სამინისტროს
ფინანსთა ადმინისტრირების
დეპარტამენტი
ელექტრონული
ფორმატი